



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



47468-01-2-201912171733

## ს ა გ ა რ ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/47468  
17/12/2019



ა ა ი ბ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ფ ო რ მ ე ბ ის ა ს ო ც ი ა ც ი ა“  
წერილის რეგისტრაციის № 62  
თარიღი: 20 12 2019

**ა ა ი ბ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ფ ო რ მ ე ბ ის ა ს ო ც ი ა ც ი ა ს“**

/ მის: თბილისი, კოსტავას 75გ;  
ელ. ფოსტა: g.chavleshvili13@gmail.com/

თქვენი 2019 წლის 15 ნოემბრის N158 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომერციული ატაშე არის ერთ-ერთი დიპლომატიური თანამდებობა და შედის საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში. ამავე კანონის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, იგი იმყოფება დიპლომატიური წარმომადგენლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაში და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში, რაც გულისხმობს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას - თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N1-1/713 ბრძანება „კომერციული ატაშეს თანამდებობრივი სარგოს, შენახვის ხარჯების, მის მიერ სამსახურის გავლის, გამოწვევის, მისი და მისი ოჯახის დაზღვევის, სოციალური დაცვის წესებისა და გარანტიების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ადგენს კომერციული ატაშეს შერჩევის პროცედურებსა და საკონკურსო მოთხოვნებს.

ამდენად, თქვენი განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა სცილდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს.

პატივისცემით,  
ირაკლი ქოიავა



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი  
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი